№ 5 16 იანვარი, პარასკევი 1866—1876 16 იანვარი, პარასკევი № 5

დროება

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, პრტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дрозба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ГАЗЕТА ВЫХОДИТ ВЪ ВИДѢ ЕЖЕНЕДѢЛЬНАГО ЖУРНАЛА

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

ხალხის ჯანმთელობა

წარსული ნომრის „დღიურში“ ერთი პატარა, მაგრამ ყურადღების ღირსი ამბავი იყო მოხსენებული: რომ დუშეთის უეზდის, ახალგორის სოფლის საზოგადოებამ გადასწყვიტაო, რომ თავისთვის ცალკე ფერშალი იყოლიოს და პატარა აფთიაქი გამართოსო.

უფ. თფილისის ღუბერნატორი, რომელიც ყოველ ამგვარ საქმეს თანაუგრძნობს და ხელს უწყობს, რასაკვირველია, დიდი სიამოვნებით დათანხმებულა ამ საზოგადოების სურვილზე; და ამნაირად ეს ახალგორის სოფლის საზოგადოება, ეგონებთ, პირველი საზოგადოება იქნება ჩვენში, რომელიც ცოტათი მაინც დაიკმაყოფილებს ამ მხრით თავის საჭიროებას.

რა თქმა უნდა, რომ ეს გარემოება ყურადღების ღირსია. ის გვიმტკიცებს, რომ ხალხს ერთობ დიდი გაჭირება მისდგომია უექიმობით, რომ ეთობ შეეიწროებულა სხვა და სხვა მკითხავებისა, მარჩიელებისა და სოფლის ექიმებისაგან.

სწორეთ საბრალო მგზომარეობაშია ჩვენი სოფლის ხალხი ამ მატყუარების ხელში: არათუ ჯანმთელობას არ არგებენ, არათუ ავათმყოფებს არ არჩენენ, ნიეთიერათაც აღარიბებენ, ცრუმორწმუნოებას ავრცელებენ და კარგამყოფებს ავად ხდიან და ხოცავენ.

ყოველს უეზდში, კანონით, უეზდის ექიმია დანიშნული. დანიშნულია, მაგრამ იმათი არსებობა ხალხმა არ იცის: ჯერ ერთი, რომ ისინი იმდენ სასყიდელს თხოულობენ თავის შრომისთვის, რომ ღარიბ ხალხს იმათი დაკმაყოფილება არ შეუძლიან; მეორე, თვითონ ექიმობაც ისე უხეიროთ მიჰყავთ, რომ ერთი-ორი მაგალითისაგან დაშინებული ხალხი (რომლის მინუშები ჩვენს გაზეთშიაც იყო მოყვანილი) სრულებით რწმუნებას ჰკარგავს, რომ ამ ნასწავლ ექიმებს რისმე მოარჩენა შეეძლოსთ. ამ ექიმებით უეზდის შეძლებული თავად-აზნაურობა თუ სარგებლობს, ისიც ათასში ერთხელ, თორემ სხვა არავინ.

ამისთანა მდგომარეობაშია ჩავარდნილი ამჟამად ჩვენი ხალხის ჯანმთელობა და რად გაგიკვირდებათ, რომ ჩვენ სიამოვნებით მოვიხსენიოთ იმისთანა მაგალითი, როგორც ახალგორის ამბავი.

მაგრამ ყველგან ამგვარად საქმის წაყვანა შეუძლებელია; ყველა სოფელს ამ საზოგადოებას ცალ-ცალკე არ შეუძლიანთ, რომ თავიანთვის ექიმები დაიჭირონ და აფთიაკები გამართონ. სხვაგან, ყველა ამგვარი საქმეები იმ დაწესებულების მოვალეობაა, რომელიც ხალხის კეთილდღეობაზე საზრუნველად არის დანიშნული: ე. ი. მმართებლობისა ან ხალხისაგან ამორჩეულ კრებებისა და ერობისა.

ამის გამო ამ საქმის რიგიანათ მოთავსებას და რიგიანათ წაყვანასა ჩვენ მხოლოდ მაშინ უნდა მოველოდეთ, როდესაც ჩვენშიაც დაფუძნდება ეს ერობითი წესი, რომლის შემოღებას ჩვენ დღითი-დღეზე მოველით და რომელმანც რუსეთში ამდენი სარგებლობა მოიტანა.

მანამ კი იმისთანა კერძოობითი მაგალითის დანახვაც, როგორც ახალგორისა, ძალიან სასიამოვნო და საუგეშო უნდა იყოს ჩვენთვის; ის გვიმტკიცებს, რომ ჩვენს ხალხს თვითონაც შეუძლიან თავის ბედზე ზრუნვა, როდესაც სხვები, რომელთათვის ეს ზრუნვა პირ-და-პირ მოვალეობას შეადგენს, ხეირიანათ არ ჰფიქრობენ იმაზე...

დღიური

გასულ 12 იანვარს, აქაურს ღუბერნიის სამმართველოში მესამეჯერ შეიკრიბა კომიტეტი, რომელიც უფ. ღუბერნატორის მოწვეეთ იკრიბება ქალაქს ერთდღიურ აღწერაზე მოსალაპარაკებელად. ამ სხდომაზე, სხვათა შორის, კომიტეტმა დაამტკიცა სახელმძღვანელო ინსტრუქცია იმ პირებისათვის, რომელთაც ერთ-დღიური აღწერის მოხდენა მინდობილი ექნებათ.

* * *

ჩვენ გვატყობინებენ ქუთაისიდამ, რომ იქაური ქალაქის ბამგეობა მზათ არისო, რომ დაუთმოს მომავალ სამოსწავლო სემინარიისთვის ქალაქის ფერმა და რაც იმაში შენობაა, თუ კი სამოსწავლებლო მთავრობა ამ სასწავლებლის იმერეთში გახსნას გადაწყვეტსო.

ქუთაისს და საზოგადოთ იმერეთს, როგორც გვწერენ, ძალიან ჰსურს, რომ ეს სასწავლებელი უეჭველად იქ გაიხსნას და ვინც იცის, თუ რამდენად საჭიროებს ეს მხარე ცოტათი რიგიანს მასწავლებლებში და რამდენათ გასაჭირია იქაური ახალგაზდებისათვის სხვაგან სადმე წასვლა სწავლის მისაღებათ, ის დაგვეთანხმება, რომ ეს იმათი სურვილი კანონიერი სურვილია და ურიგოც არ იქნება, რომ ასრულდეს.

* * *

ქუთაისიდამვე გვწერენ, რომ იქაურს საპყრობილეში დაჭერილი ზიორგი მიქელაძე, რომელზედაც ამ ერთი წლის წინათ დიდი პროცესი იყო, გაქცეულა. ამბობენ, რომ საპყრობილის მთავრობისთვის უთხოვნია, დიდი ხანია მშობლები არ მინახავსო და ერთი დღით გამიშვითო. ზედამხედველს ნება მიუცია და ხუთი ყარაული გაუტანეია; გზაზე ერთი სალდათისთვის თოფი გამოუტაცნია, ლულით გაულახავს დანარჩენი სალდათები, და თვითონ კი გაქცეულა.

* * *

ახლად გახსნილი შკოლა უფ. ა. ჭიჭინაძისა, ქუთაიქში, როგორც გვატყობინებენ, ამ თავითვე ძალიან კარგათ მიდის და იმედი აქვთ, რომ შემდეგში კიდეე უკეთ წავა. ამჟამად 25 შაგირდამდი არისო.

ყოველი ამგვარი საქმის დაწყება ისეთი საიმედო კაცისაგან, როგორათაც ჩვენ უფ. ჭიჭინაძეს ვიცნობთ, ძალიან სასიამოვნო მოელენად ჩაითვლება იმერეთისათვის, რომელშიაც ამდენი მსურველები არიან სწავლისა, მაგრამ სადაც, საუბედუროთ, ეს სწავლის წყურვილი ასე ნაკლებად კმაყოფილდება.

* * *

ვლადიკავკაზიდამ „თფილისის მოამბეში“ იწერებიან, რომ აქაურ ქალაქის ბამგეობის სახლთან ისეთი ოთახი გამართესო, სადაც ქუჩაზე უეცრად შეწუხებულ ავათმყოფებსა

ბიბლიოგრაფია

ჩვენს მწიგნობრობაზედ *)

VII. მოგზაურობანი. უმთავრესნი მოგზაურნი, რომელთა დაუთვალიერებიათ საქართველო, არიან: 1) შერდენი, 2) ტავერნიე, 3) ტურნეფორი, 4) პიეტრო დელლა ვალლე, 5) ბულდენდშტეტი, 6) რეინეგსი, 7) ქალი ფრეიგანგი („წერილები საქართველოზე“) 8) ქლაპროთი, 9) ბამბა, 10) როტიერი, 11) ლამბერტი („Relazione della Colchide“). ავტორი აქ არას ამბობს დიუბუა-დე-მონპერეს საჩინო მოგზაურობაზე, თუმცა ის იყო გამოცემული, როგორც მახსოვს, 1835 წ.

VIII. ლიტერატურა საკუთრად თქმული. მივაწიეთ იმ მუხლამდინ, რომელსაც უ. ბროსეს წიგნში უდიდესი ადგილი უჭირავს. მაგრამ მაინც კიდეე, ბევრი აკლია აქ. ბევრია იმისთანა თხზულება, რომელიც არსებობს და იკითხება საქართველოში, მაგრამ რომელსაც უ. ბროსე ვერ ნახავდა, და ვერც რამეს გაიგონებდა მათზე. არც ჩვენს პეტერბურღელ მეცნიერებს ეცოდინებათ სრულიად ქართული ბელეტრისტიული ლიტერატურა. მართლაც, თუ ისტორიულნი და საზოგადოთ სამეცნიერო წიგნები არისტოკრატებს აქვსთ — ჩვენი სწავლულები მხოლოდ ამათ ბიბლიოთეკებს იცნობენ, —მოთხრობაები, პოემები და სხვანი ამგვარნი წიგნები კი გაბნეულნი არიან წვრილ აზნაურ-შვილობაში: სწორეთ ამისთანა კაცებისას ნახავთ რამე შეენიერეს და გამტაცებელს წიგნსა, თუმც გაყვითლებულსა—სიძველის ნიშანი, მაგრამ ყოველთვის მთელსა.

მოვიხსენებთ მხოლოდ რამოდენიმე წიგნს უ. ბროსეს ჩამოთვლილის რიცხვიდგან. ვთქვათ ჯერ, რომ პატივცემულს ორიენტალისტს გადაუთარგმნია ფრანცუზულზე „ვეფხვის ტყაოსანი“ და „მირიანი.“—უ. ბროსეს სიტყვით, სენ-მარტენს დაუბარებია თფილისიდგან ხელ ნაწერები და ერთს სომეხს გამოუგზავნია მისთვის ზოგიერთ თხზულებების სია, რომელნიც მაშინ იყიდებოდნენ. მათ შორის შემდეგი უცნობი წიგნებია: 1) ჩქარის და დარვიშის წიგნი (ძველის აღთქმის სისქე), 900 მანეთს თხოულობდენო ფასათ. 2) უტონის წიგნი, სადაც შეკრებილია სხვა და სხვანაირი წარმოებანი; ზოგთა აქეს შინაარსი არაკული, ზოგთა ისტორიული; შედგენილია ერთის ღედლის მიერ. (ფასი. 300 მანეთი).—„დიახაც, ამბობს უ. ბროსე, აჰა ლიტერატურა, რომლის აქამომდე ცნობილნი წყაროების აკმაოდ უხვნი არიან, რათა ეიგულისხმოთ, რომ ბევრი კიდეე გვრჩება უცნობი.“

არ შეეცდებით, მგონია, რომ ესთქვათ, რასაც უ. ბროსე ჩამოსთვლის, ის მეასედიც არ არის ქართველის ლიტერატურისა. ადვილი ასახსნელიცაა ეს. წიგნები, რომელთაც უ. ბროსე ჩამოჰსთვლის თავის თხზულებაში, იმიტომ არიან ცნობილნი, რომ ერთნი მათგანნი, თავის ადვილის სტილისა და აღმტაცებელ შინაარსის გამო, ძლიერ გავრცელებულნი იყვნენ და მათი მონახვა არავითარს სიძნელეს არა წარმოადგენს.

*) „დროება“, № 4.

შეუძლიანთ თავი შეიფარონ და იექიმონო.

***

ბელათის ქვანახშირის მადანზე ამის წინათ შემდეგი უბედურება მომხდარა: ქვანახშირის სათრხელად თოფის-წამალი ჰქონიათ ტომრით; გაუფრთხილებლობის გამო, როგორც ამ ტომარას ცეცხლი მოხვედრია, ტომარას უფეთქია და, როგორც გვწერენ, ერთი ინჟენერისთვის ფეხები მოუმტვრეია და ერთი დედაკაციც მოუკლავს.

***

„დროების“ კორრესპონდენცია

ზემო-იმერეთიდამ, 5 იანვარს

ბატონო რედაქტორო!

თქვენი პატივცემული გაზეთი, ვგონებ, ჩვენში ბევრს არა ვის მოდიოდეს და არც კი ეჭაშნიკებათ მაინცა და მაინც. ეს პირუთვნელი „ეპისტოლე“ როგორც მახინჯ ქალს სარკე არ უყვარს, რასაკვირველია, ის არ ეყვარება.

და, თუმცა მოდის ვისმე, საიდუმლოთ რჩება ჩვენთვის; ზოგიერთს მოდის იშვიათად და როცა წაიკითხვენ ხოლმე და გაწყრებიან ბატონები, როგორც მოგეხსენებათ საზოგადოთ მოსამსახურე ბიჭის „შეტყობის წადიერობა“, მაშინვე ყურებს გამოაქვეტენ—თუ რა ამბავი არის, რა სწერია ბაგისთანა, რომ ბატონები ჯაერობენო? და ერთ-ორს სიტყვას გაიგონებენ, მიაკერებენ ნაწყვეტ-ნაწყვეტათ და მოფენენ სოფლათ.

ამ გვარათ ვტყობულობთ ჩვენ სოფლელები; ამას წინათ ერთმა მოსამსახურე ბიჭმა მითხრა: „საშინლათ ემუქრებიან ბატონები ერთს თავის სახლი-კაცსო; ამბობენ, რომ ვითომც კიდევაც სწერდეს გაზეთში რაღაებსაცო; ეგ კიდევ არაფერი; მაგრამ თავადის-შვილი ნამსახური კაცი იმოდენათ იმცირებს თავსო, ან შკოლაში შედის, სადაც ჩვენი გლეხის კაცის შვილები სწავლობენო და ან გაზეთს როგორც მიიღებს მომრიგებელი მოსამართლისაგან (რომელსაც მისი იასაულები მოუტანენ ხოლმე ზესტ ფონიდან სხვა პაკეტებთან შორის). მაშინვე როგორც მიიღებს თუ არა, გახსნის და ბაზარში კითხულობსო, შემოეხვევიან ვაჭრები და გლეხები:

— ბატონო, წაგვიკითხეო და ისიც დიდი სიამოვნებით კითხულობს და კიდევაც აძლევს საკითხავათო!“

აი, ამაზე ემდურიან თურმე, ბატონები!

ერთს პარასკევობას მე შემემთხვა ბაზარში გავლა ხალხი მოგროვებულიყო და ერთი გახალისებული ბაასი იყო, ის ხსენებულიც იქ იდგა; მე მაშინვე გამახსენდა იმ ბიჭის ნაამბობი; მიეაშურე და არც მოვტყუვდი: მართალა გაზეთს კითხულობდენ; ისიც ეუბნებოდა: „თუ ასე მოგწონთ, რათ არ გამოიწერთ? ორასი კომლი ვაჭარი ხართ, რა დაგაკლდებათ, ხუთ-ექვსმა კომლმა თითო ხომერი გამოიწეროთ? ძუთათურ ვაჭრებს ორმოცი ნომერი ბიუდისო! ვაჭრები მიზეზს დებდენ უფოჩტობას. ისიც ეუბნებოდა: „ეხლა მაინც მთავრობისაგან გადაწყვეტილია ფოჩტების გაკეთება სახერემდინ ზესტაფონიდან და აქედან რაჭასო და ენახოთ, მერე რაღა მიზეზს იტყვითო“.

ამ გაზეთის ამბები რომ გავიგონე, მაშინ ერთი პირჯვარი გადეიწერე: „გმადლობ შენ ღმერთო, რომ კიდევ ყოფილან ქვეყნაზე კერძო კეთილი კაცები, რომლებიც ჩვენთვის ფიქრობენ თქო და მოვკიდე ბატის ფრთას ხელი, ამოუწე ჭ ნგარიში და ვიწყე ფხაჭნა ჩვენ გაჭირვებაზე. იმედი მაქვს, თქვენ პატივცემულ გ ზეთში მისცემთ ადგილს შემდეგ ჩემს განცხადებას.

მახლობლათ დაბა ს ჩხერისა არის სოფელი წირქვალი. ამ სოფელში ესახლა დავით მეფის შვილი—ბატონიშვილი კოსტანტინე. როდესაც მეფე დავით ტახტიდან გააძეს, გამეფდა იმერეთში სოლომონ მე II. რაღაცაზედ მეფე შემოსწყრა ბატონის-შვილს და ჩამოართო საბატონიშვილო მამული და დროებით მისცა დას კოსტანტინე ბატონიშვილისას ზეხ თუნს, რომელიც ჰყავდა ცოლათ თ. ს. წ—ს.

შემდეგში, მეფემ შაირიგა ბატონიშვილი, და დაუბრუნა თავისი საბატონიშვილო მამული.

კოსტანტინე ბატონიშვილი მოვიდა ჯარით ს ჩხერეში; თავის ძმეს კი არ აწყინა რა; მაგრამ მოუნდომა სიკვდილი, როგორც მეფესთან თავის შემასმენელთ, სიძის მამას და ძმებს: თ. ზ წ., თ. ბ. წ. და მიტრ. დ.—ს. მაგრამ ესენი დაემალნენ.

მცირე ხანში შემდეგ ამ შემთხვევისა, იმერეთი შაუერთდა რუსეთს. კოსტ ნტინე ბატონიშვილი რუსეთში წაიყვანეს. იქ იმან შემდეგ თავის ცოლის აბაშიძ ს ქალის სიკვდილისა, შეირთო მეორე ცოლი ანნა ლოპეცი; მეორეთაც დაქვრივდა და შეირთო მესამე ცოლი ეკატერინე სტრახოვისა, რომლისაგანა მიეცა სამი ვაჟი: ნიკოლოზ, კოსტანტინე და ალექსანდრე წოდებულნი აწ კნიაზებათ იმერეთისა. ერთი სიტყვით, ბატონიშვილი დარჩა სამუდამოთ ცოლ-შვილით რუსეთში და ყმა-მამული შეირიცხა სახაზინოთ და მთავრობისაგან დადგენილი მოურავები ვართავდნენ საბატონიშვილოს 1815-ამდე.

თ. ზ. წ—ს იმ დროს დიდი გავლენა ჰქონდა, პარ-და-პირ რუსეთის ენერალ-მაიორათ შეირიცხა და ხალხი უყურებდა მოწიწებით. თ. ზ. წ. მოკიდა ბრძყალი ამ კაი ლუკმას საბატონიშვილო მამულსაც სხვათა შორის. ..

1812 წ. თებერვლის 16 დღესა უმაღლესის ბრძანებით დაინიშნა საქართველოს მთავარ მართებლათ ენერალ ლეიტენანტი რტიშჩევი.

რტიშჩევს და ზ. წ—ს კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ და ზ. წ-ის შემდეგ წირქვალი და სრულიად საბატონიშვილო დარჩა მის შვილს ს. წ. ვითომ, რომ მეფისაგან სამუდამოთ ნაბოძები ჰქონოდეს და ბატონიშვილისთვის არ დაებრუნებინოს; ამ დროდამ სარგებლობდა თ. ს. წ. ვიდრე 30 წლამდე.

შემდეგ იჩიელეს საბატონიშვილო აზნაურმა გლეხებმა და განთავისუფლდნენ სახაზინოდ. 352 კომლი ახასო და აზნაურების ყმები; მათ რიცხვში კი აზნაურებს დარჩათ თავის ყმებიც, მაგრამ აზნაურები თავისუფალი შაიქნენ. მხოლოთ დარჩა ს. წ—ს მარტო წირქვალი, სადაც 20 კომლი კაცი ესახლა და სხვა სოფლები განთავისუფლდა, რადგანაც გრამოტაში ეწერა: „გაძლევ საბატონიშვილოს წირქვალსო“ და სხვა სოფლები არ იყო მოხსენებული. სახასო გლეხებში მთავრობამ მისცა ს. წ—ს მემკვიდრეს ათას ორასი თუმანი ერთბაშათ; აგრეთვე მთა ნაშიერი, რომელსაც ფლობენ დღესაც და რომელიც ეკუთვნის წირქვალში მცხოვრებ სამეფო საბატონიშვილო აზნაურთ და გლეხებს; უმეტესი ნაწილი თთ. წერეთლების გლეხები სახლობენ წირქვალში. მათ ჰქონდათ გრამოტა მეფის, სადაც ეწერა: „წირქვალს მცხოვრებთ აზნაურთ და გლეხთ გიბოძეთ მთა ესე სრულ თქვენ მკუთვნელობაში, მხოლოდ ბატონიშვილს აძლიოთ მეათედი ნაწილი, რაიცა ისარგებლოთ...“

ეს გრამატა ებარა მოკლია ბაფრინდაშვილს. ს. წ—მა გამოართვა მოკლიას გრამოტა ვითომ წასაკითხავათ და შეგდო ცეცხლში, დასწვა და მთას დაეპატრონა.

ახლა არის ორლქის სასამართლოში საჩივარი გლეხებსა და მეპატრონე თავადიშვილებ შორის.

გლეხები კუდამდი დასტყავდნენ ადვოკატების ქირით და როგორ გათავდება—ღმერთმა იცის.

1865 წ. ბატონყმობითი დამოკიდებულება მოისპო უმაღლესის ბრძანებით და თავისუალნი შეეიქენით ჩვენ, გლეხი-კაცნი.

ბატონის შვილის ნამოსახლზე დაესახლა სოფ. წირქვალს დ. წ—ის შვილი, შემდეგ მამის სიკვდილისა. ჩვენ გლეხებს გაგვეგონა, რომ ეს ახალგაზდა ყმაწვილი რუსეთში ნამყოფიაო, ფრანციცულსაც ლაპარაკობს ხშირათ თავის ძმასთან. ვიფიქრეთ: ღმერთმან მოგვაველინა წინამძღოლი, ისე როგორც ძველათ ბატონი-

---

გენდნენ. სხვები კი იმისთანა კაცების ხელში იყვნენ, რომელნიც თვითონ ცდილობდნენ, რომ ესენი საყოველთაო საცნობათ გიყხადნათ. მაგრამ რამდენია იმისთანა ხელნაწერები, რომელნიც, თვის სიერცის ახუსგანის, სიძველის მიზეზით, დარჩენილან ერთ ეგზემპლიარათ! რამდენი, მეორეს მხრით, ადვილის შინაარსის და პატარა თხზულებანი ვერ გამხდარან საზოგადოთ ცნობილნი იმიტომ, რომ ჩაეარდნიათ ხელში იმისთანა პატრონს, რომელმანც ისინი ვერ დააფასა და მიაგდო დასამტვერავად!

შემდეგ უ. ბროსე გვაცნობებს პარიჟის „აზიურ ჟურნალის“ სტატიებს შესახებ ქართულის ლიტერატურისა. 1827 წლიდგან დაწყებული 8 წლის განმავლობაში 49 ნომერში ყოფილა საქართველოს ლიტერატურზე სტატიები, ე. ი. ყოველს წელს 6 ნომერში ჰქონია ჩვენს ლიტერატურას ადგილი.

რაც შეეხება თვით უ. ბროსეს გრამმატიკას, იმის გარჩევა სახეში არ გვაქვს ეხლა. ვიტყვით. რომ, თუმცა ბევრი შეცდომა არის შიგ, მაგალითებრ: სიტყვების თარგმნაში, ზმნების ულელილებაში და სხვ. მაგიერად ბევრი ღირსებაც აქვს. ეს პირველი შრომაა ფრანცუზულ ენაზე, გარკვევით საგანზე რომ ჰსჯის, და შეიცავს ბევრს კანონებს, რომელნიც უ. ბროსეს შეუმჩნევია როგორც განსაკუთრებული თვისება ქართულის ენისა. უსათუოთ იმას ბევრადუკან ჩამორჩებიან ჩვენი ბოლონდელი გრამატიკოსები, რომელნიც წარმოარდგენენ პოსტოკოვის ღრამატიკის კოპიოს. უ. ბროსეს თხზულებაში განსაკუთრებით ის თავი დიდის სინამდვილით და სიბეჯიდით დაწერილია, რომელიც ეხება წარმომავალ სახელებს და მათი წარმოების კანონებსა.

ვითომ დავიჯეროთ, რომ მკითხველი გადააველებს რა თვალს ამ წიგნების ჩამორიცხვას, დაკეცს გაზეთს და იტყვის: „ჰო! კარგი, თუ ყოფილა ეს წიგნები!“

თუ ეგრეა, ვეთხოვ, ამ ნომრის თვალიდგან მოშორებამდი, მან წარმოიდგინოს ერთი ქართველი, ვინც უნდა იყოს მოსწავლე, და მასწავლებელი, მწერალი და მკითხველი, ექიმი და ადვოკატი. რა ჰქნას, თუ ვინმეს მათგანს უნდა გულით გაიცნოს ჩვენი მწიგნობრობა, ე. ი. ჰსურს შეისწავლოს თავის ხალხის ენა, მოიგონოს მისი წარსული ცხოვრება, მიუგდოს ყური მისს გულის წადილს და მისს გრძნობებს, რომელნიც ხალხს გამოუთქვამს თავის ლიტერატურაში!?

თუ ამას მიაქცევენ ყურადღებას, იმედია, ჩვენი მკითხველები დაფიქრდებიან შემდეგ საგნებზე და თავის ჭაზრს გამოთქვამენ:

1) წიგნების გამოცემის წარმართება. მართალია, მოიპოვება საშუალება, რომ ჩვენი წიგნები უფრო ბლომათ გამოდიოდეს; მაგრამ, რაც უნდა იყოს, კიდევ ბევრი დრო უნდა ამ საქმის სისრულეში მოყვანას.

2) მაშასადამე საჭიროა, რომ ეცადოთ ამასთანავე ხელნაწერების შოვნას და მოგრიეებას იმისთანა ადგილზე, სადაც მათი სარგებლობა ადვილად შეეძლოსთ დიდს და პატარას, სწავლულს და უსწავლელს, შეძლებულსა და ღარიბს.

პარიჟი, 1876 წ. ა. ჭ—ა.

შვილები; უგნურ და უმეცარ გლეხებს კაი გზაზე დაგვაყენებს თქვა; — და დიდ სიხარულში ვიყავით!

ყველაზე უმალ ჩვენმა საზოგადოებამ მალაზია გავხსენით, სადაც დღეს ათასი კოდი სიმინდი იქნება და გვინდოდა ბანკი დაგვეარსებია, თავდაპირველათ ხუთასი კოდი სიმინდი გაგვიყიდა ხუთას მანეთათ ბანკის დასაარსებლათ, პირველში ვგონებ კაი თანხა იქნებოდა და შემდეგში ჩვენ მოუმატებდით ცოტ-ცოტათი. რასაკვირველია, თავადის აქ დასხლებაზე მოხარული ვიქნებოდით; მაგრამ მოვსტყუვდით!

ეს ახალგაზდა ისე იქცევა, როგორც ძველათ იქცეოდნენ ბატონები. სულ თავის პირადობაზე, ჩამოგავლობაზე ლაპარაკობს.

წირქვალში, სოფლის თავში, ჩამოდის ერთი პატარა წყალი, რომლითაც ცხოვრობს სამი სოფელი; წირქვალი, ხალიფაური და ღვიმევი სულ 243 კომლი გლეხი. წირქვალს ამ წყალზე პატარ-პატარა წისქვილი 60-დინ ექნება. დღეს ხსენებულს თავადს უნდა ის წყალი მოუკვეთოს ამდენ მცხოვრებს და გაუქმოს სამოცამდი წისქვილები და წყალი წაიყვანოს თავის სასარგებლოთ.

მგრეთვე გზა უნდა გააკეთოს ფაიტონის თავის სახლიდამ და შეუერთოს ფოჩტს გზას ყვირილასა და საჩხერეს შუა. ეს კეთილი! სასარგებლო იქნებოდა სოფლისათვისაც სხვა დროს და სხვა პირობაებში. მაგრამ სოფ. წირქვალი არის კლდიანი ადგილი, გზა არსაით მოუხერხდება; მხოლოდ ერთ ადგილს საყანებზე. უნდა გაატაროს, რომლის შარა გზის გაჭრით 80 მოსახლე კომლი გლეხი დავიღუპებით; თუ ავიყრებით თორემ მეტი ღონე არ იქნება.

ეს თავადი ხშირად იბარებს მამასახლისს და ისე აძლევს ბძანებას, როგორც შეფერის დიდს გვარიშვილს და ხშირათ ემუქრება ციმბირით. ჩვენი მამასახლისი ამ თავადს უნდება და ჩვენთვის კი არ ზრუნავს.

მაგრამ რა გასაკვირველია! ოქროვან საუკუნეში თამარ მეფეს დროს, შვიდი საუკუნეს წინეთ, უთქვამს რუსთველს:

„ძაი რომ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!“

მაგრამ ამასაც გვეუბნება:

„ჭირსა შინა გამაგრება ასე უნდა, ვით ქვითკირსა.“

მეტი რა ღონე არის: მაგრამ მე მაინც საქვეყნოთ გამოვაცხადებ ჩვენს გაჭირვებას.

მეწისქვილე მუჯირი.

რუსეთი

როგორც იწერებიან გაზეთებში, რუსეთში წრეულს ძალიან ცუდი ზამთარი არის ყოველგან და ძალიან უჭირს თურმე ხალხს, განსაკუთრებით სამხრეთ რუსეთის ღუბერნიებში.

ერთი რუსული გაზეთის კორრესპონდენტი იწერება, რომ ყირიმში, სიმფეროპოლში იმოდენა თოვლია და ისეთი ყინვა დადგა, რომ არა თუ არ ახლოვს არავის, არამედ არ შეეძლო აქეურს კაცს ამნაირი ზამთრის წარმოდგენაო. ღარიბი ხალხი აქ არასოდეს არ ემზადებოდა ზამთრისათვის ისე, როგორც სხვა რუსეთის ღუბერნიებში; ის მთელს ზამთარში ცეცხლს არ ანთებს ოთახში; მაგრამ წრეანდელ ზამთარმა ისეთი სიცივეები მოიტანა, რომ უცეცხლოთ გაძლება შეუძლებელი საქმე შეექნა; ამასთან შეშაც ისე გაძვირდა, რომ ღარიბს კაცს მისი ყიდვა არ შეუძლიან არას გზით. მრავალი გაყინული კაცები ნახეს თურმე იქ ქუჩებში.

* * *

25 დეკენბერს ოდესის რკინის გზაზე უბედურება მოხდარა; როგორც ამბობენ, დაღუპულა 68 კაცი; ამას გარდა 54 მძიმეთ დაჭრილები მოუყვანიათ ოდესაში იმავე დღეს.

ამ უბედურების თაობაზე არის დანიშნული გამოძიება უმაღლესი ბრძანებით.

* * *

მოსკოვში სულ 593 ტრაკტირი (ყავახანა) ყოფილა. ამ ყავახანებიდამ ქალაქის სასარგებლოდ შემოდის 385,450 და ხაზინის 175 960 მანეთი.

* * *

ყაზანის ოლქის სამართლოში, როგორც იწერებიან „ბირჟის უწყებებში“ ყოფილა საქმე სუდენი პრისტავისა, რომელსაც ამტყუვნებდენ სასამართლოს ფულების დახარჯვაში. სასამართლოს გარდაუწყვეტია მისი ციმბირში გაგზავნა, ზოგიერთი ღირსების ჩამორთმევით.

* * *

პენზის ქალაქის თავ შეუტანია გამგეობაში აზრი, რომ ამ ქალაქში უნდა აშენდეს ისეთი სახლი, სადაც ღარიბ ხალხს, სოფლიდამ ჩამოსულს შეეძლოს ზომიერი ფასით სადილის ჭამა და სადგომის შოვნაო.

* * *

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი („დროების“ კორრესპონდენცია). უკანასკნელ წერილში „დროების“ მკითხველს დავპირდი წლიურ ანგარიშს საფრანგეთის პოლიტიკაზე და მდგომარეობაზე. მაგრამ საუმჯობესოთ და სასარგებლოთ დავინახე, რომ მოკლეთ გადავათვალიეროთ ამ ხუთი წლის საფრანგეთის ნაციონალური კრების მუშაობა, რომელიც იყო საფრანგეთის უბედურობის დღეს ამორჩეული და 31 დეკემბერს 1875 წ. საუკუნო განსვენებას მიეცა.

როცა პარიჟმა, შიმშილის გამო, მტერს კარი გაუღო და დაემორჩილა, საფრანგეთს შემდეგ თითქმის არავითარი საშუალება არ ჰქონდა ნემცებთან ომის გაგრძელებისა: ეს თვით ნემცებმაც კარგათ იცოდნენ და ამისთვის პარიჟელი დროებითი მართებლობის განკარგულებით მთელმა საფრანგეთმა 8 მარტს 1871 წელს ამოარჩია წარმომადგენლები ანუ დეპუტატები, რომლის მოვალეობა იყო: 1) ქვეყნის მართვა და 2) მტერთან ან შარიგების მოხდენა და ან ომის განგრძობა. ამ ახალმა საფრანგეთის ნაციონალურმა კრებამ პირველათ თავი მოიყარა ქ. ბორდოს 12 მარტს 1875 წელს.

აი ამ დღიდგან იწყება საფრანგეთის ახალი ცხოვრება და ხუთი წლის ნაციონალური კრების ბატონობა.

უპირველესი მოვალეობა კრებისა იყო, რომ მტერთან, რომელს თითქმის მესამედი საფრანგეთი ხელში ეჭირა და პარიჟი დაიმორჩილა, გარდაეწყვიტა ან ომი და ან მშვიდობიანობა; ამისთვის მან მიანდო ერთ თავის მწევრს უ. ტიერს, რომ მოეხდინა მოლაპარაკება ნემცებთან, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ უ. ბისმარკთან, თუ რა პირობით დასჯერდებოდნენ მორიგებას.

უ. ტიერი ამ საბუხარო მინდობილების აღსრულებას შეუდგა, როგორც საფრანგეთის ნამდვილი შვილი და უპირველესი პატრიოტი. ამას ესეც უნდა დაუმატო, რომ უ. ტიერი ამ მინდობილებამდის ნაციონალურმა კრებამ დანიშნა დროებით რესპუბლიკის მმართებლობის თავსმჯდომარეთ (პრეზინდენტათ) და უ. ჟულ ბრეევი, გამოჩენილი რესპუბლიკელი, თვით კრების თავსმჯდომარეთ.

დაუყოვნებლივ ტიერი შეუდგა თავის მინდობილების აღსრულებას და ამისთვის გამოსწია ქ. ვერსალში, სადაც ამ დროს ნემცების იმპერატორის ვილჰელმის სამსჯავრო ანუ სამხედრო საქმეების სადგომი ან შტაბ-კვარტირა იყო, და შეუდგა მორიგების მოლაპარაკობას, რომლის დაბოლოება იყო საფრანგეთისაგან დათმობა ნემცების ანუ ბერმანიის სასარგებლოთ ორი პროვინციისა: ელზარის და ლორენის და ხუთი მილიარდი ფრანკი ჯარიმა. ტიერი ნებით თუ უნებურათ უნდა დამორჩილებოდა ამ ბარბაროსულ მოთხოვნილებას, საცა კაცობრიობას და ქვეყანას ისე ექცეოდნენ, ვითომც თხა ანუ ღორი ყოფილიყვეს. ტიერი მხოლოდ მისთვის დაეთანხმა ერთი კუთხის საფრანგეთის ჩამოჭრას და მტრისათვის დათმობას, რომ მას იმედი არ ჰქონდა საფრანგეთზე ამ დროებით, რომ საფრანგეთს შესძლებოდა მტერთან ომის განგრძობა.

საზარელი მოვალეობა და მასთან საზარელი გადაწყვეტილებაც მიიღო თავის თავზე ტიერმა, მაგრამ სხვა სარჩევი არა ჰქონდა რა.

როცა ეს მორიგების პირობა წაიკითხა ტრობუნიდან ნაციონალურ კრებაში დეპუტატმა სანტ ილერმა, თითქმის ამ შვიდას კაცს ტანმაჭრუანტელმა გაუარაო. თუმცა კი მოელოდნენ ამ გვარ პირობას, მაგრამ მაინც იმედი ჰქონდათ ნემცების პატიოსნებაზე და კაცთ-მოყვარეობაზე; ეგონათ, რომ ბერმანიის იმპერატორი ვილჰელმი უფრო პატიოსანი იყო თვის სიტყვაზე, რომელიც ყოველ შემთხვევაში იძახდა, რომ მე ვეომები ნაპოლეონ მესამეს და არა საფრანგეთსო. ბანა დამნაშავე იყვენენ ელზასი და ლორენი ნაპოლეონს ომში, რომელც შთავარდა ასე უგუნურათ და მხოლოდ პირადი ანგარიშებისათვის? უბედური ელზასი და ლორენი! იმპერიის ავაზაკობა და ცოდვები შენ მოგეხვია თავზე და შენ მარტო გამოგაქვს შენს ზურგზე! როდის მოვესწრებით, ამ შეუბრალებლობას რომ ბოლო მოეღოს! როდის მოვესწრებით, რომ განათლება და პროგრესი ხარობდეს, რომ ერთს ხალხს მეორე სალხი მისდა უნებურათ, მისდა დაუკითხველათ არ ბატონობდეს! ღმერთმა კაცი თავისუფლათ დაბადა? მაგრამ სად არის ეს თავისუფლება, თუ ჩვენი მოსაზრება, ჩვენი ხელი და უბედურება სხვაზეა დამოკიდებული? და საუბედუროთ კიდევაც არავინ არ ეძებს, არავინ არ კითხულობს იმას თუ ვინ მისცა ნება ამ სხვას, რომ კაცს, ამ უმშვენიერეს და უგონურეს ბუნების მქნილებას ებატონოს...

ნაციონალური კრება დათანხმდა ამ პირობას, ამ კაცობრიობის მომკლავ მოთხოვნილებას; მაგრამ ნუ ჰგონიათ, რომ ყველა წევრნი დაეთანხმნენ, სრულად არა პირველათ თვით ელზასის და ლორენის დეპუტატებმა შეატანეს წინადადება, რომელიც იმ დროს გამოთხოვება იყო, რომელნი გამოეთხოვენ საფრანგეთს არა სამუდამოთ, არამედ დროებით, მინამ საფრანგეთი შეიძლებდეს ამ თავის ძმების დასხნას მტრის ხელიდან. ამ გამოთხოვებაში უზომო სიმწუხარე და სისხლის ცრემლით ტირილი სჩნდა. ბანა სხვა გრძნობა შეიძლებოდა? თითქმის ორი მილიონი კაცის სული გამოეთხოვა იმ ქვეყანას, რომელიც ორი საუკუნოს განმაელობაში თავის სამშობლოთ მიაჩნდათ და რომლის მცხოვრებნი ძმებათ და მეგობრებათ უწოდებდნენ!

აგრეთვე ამ გვარს მორიგებას არ დაეთანხმნენ ზოგიერთი რესპუბლიკელი დეპუტატები და გამოვიდნენ კრებიდან, მაგალითებ ვიქტორ ჰიუგო, ლუი ბლანი, გამბეტა და სხვები; მაგრამ ეს ორი უკანასკნელი პარიჟმა ისევ აირჩია წარმომადგენელათ იმავე წელს და რაც კი შეეხება ვიქტორ ჰიუგოს, მან სრულიად გამოეთხოვა იმ მართებლობის წევრობსა, რომელმაც საფრანგეთის სახელი და დიდება ასე უგვაროთ დაამცირა.

დ. დ.

(გაგრძელება)

პარიჟი, 8 იანვ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ





ᲐᲗᲐᲡᲘ ᲞᲘᲠᲘ, ქალი და კაცი თავისის მშვენიერის თმის ქონებით ვალდებულია მხოლოთ სამზღვარ გარეთ ვაჭრობაში შემოტანილ ესრეთ წოდებულ **ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲥᲘᲜᲝ-ᲒᲚᲘᲪᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲘᲡᲐ**, რომელსაც თმა ამოჰყავს. ᲔᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲐ ᲣᲪᲓᲘᲐ ᲧᲔᲕᲠᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚ ᲔᲥᲘᲛᲝᲑᲘᲡᲛᲪᲝᲓᲜᲔᲡ და რეკომენდაციის წიგნი აქვ ქიმიის პროფესორისა ᲚᲐᲜᲓᲒᲔᲠᲘᲢᲗᲐᲜ დანიშნულისა, ᲕᲔᲜᲐᲨᲘ, უ. ᲫᲚᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘᲡᲐ და ნებართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველი და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ- დროს მოსკოვის საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი.

ᲬᲘᲡᲘᲔᲠᲐᲗ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსვლეპილი თავიც კი მალე თმით იმოსება. საკვირველათ თავის კეფას უმაგრებს, სრულებით კანის ყოველ გვარ ქერქეშს აშორებს, თმას ამაგრებს, მცირე ხანში ბუნებითს სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშვენებელია.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡ თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მაძლევს სრულს სიმართლის იმედი ვიქონიო, რომ რუსეთში ძალიან გასავალი ექნება უპატივცემულესის პუბლიკის სასარგებლოდ.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲙᲘᲡᲐ 2 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲑᲐᲜᲙᲗᲐᲜ არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარონ ეს პომადა

ᲞᲝᲛᲐᲓᲐ
„PASTA EUGENIE“

ᲐᲛ ᲞᲝᲛᲐᲓᲘᲡ გამამგონს აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Evgenie ისყიდება **ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ** ᲚᲐᲜᲙᲝᲡ მუზიკალურ მაღაზიაში სასახლის ქუჩაზე, **ᲐᲠᲬᲠᲣᲜᲘᲡ** ქარვასლაში, **ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲨᲘ** — სეგალთან და **ᲡᲢᲐᲕᲠᲝᲞᲝᲚᲨᲘ** ᲙᲣᲠᲘᲚᲩᲔᲜᲙᲝᲡᲗᲐᲜ, სადაც ისყიდება სხვა აქ მოყვანილი ნივთებიცა.

ᲔᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲐ „Pasta“ იმითია შესანიშნავი, რომ ცოტახნის ხმარების შემდეგ, ლაქები, ჭორფლი, ქერქეში და სიცხისაგან სახეზე მოდებული სიშავე სრულიად იკარგება და მსწრაფლადაც. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამიანის სიცხოველე ეძლევა. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲔᲡ ᲞᲐᲛᲐᲓᲐ იმათთვინ არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პირისახე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტია არის ᲕᲔᲜᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲫᲚᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ და ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲥᲘᲛᲝ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ მოწმობა.

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ 1 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ 60 ᲙᲐᲞ.

ᲑᲐᲜᲙᲗᲐᲜ არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲞᲝᲛᲐᲓᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲐᲡ, როგორც თმისთვის აგრეთვე „Pasta“-ა აქვს თავის დაღი, ᲐᲛᲣᲠᲘ სურათით და გამამგონის ხელის





მოწერა. ᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲛᲐᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ მიაქცევეთ.

P. S. ᲞᲝᲛᲐᲓᲐ „Pasta“ გამოსადეგია აგრეთვე იმათთვის, ვისაც ხორცის კანის ავათ- ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲙᲐᲜᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ მყოფობა არა აქვს, მაგ- ᲬᲘᲗᲔᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲖᲔ, ᲮᲔᲚᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲧᲔᲚᲘᲡ რამ ჰსურს, რომ წმინდ- ᲖᲔ. BERTHAE RIES.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲙᲐᲛᲐᲓᲐ

ᲔᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲐ ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოთ ᲝᲠᲛᲐ ᲛᲮᲣᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ჰკარგავს ამ თვისებებს.

ᲔᲠᲗᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ 1 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ 30 ᲙᲐᲞ.

ᲗᲛᲘᲡ ᲡᲐᲚᲔᲑᲐᲕᲘ—ათი მინუტის განმაელობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. ᲤᲐᲡᲘ სამი მანეთი.

ᲢᲣᲚᲙᲐᲘᲡ ᲑᲐᲚᲖᲐᲛᲘ—საშუალება მაზოლისათვის. ᲤᲐᲡᲘ 60 ᲙᲐᲞ.

54—1

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ

ᲗᲐᲒᲕᲔᲑᲘᲡ, ᲕᲘᲠ-ᲗᲐᲒᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲖᲐᲜᲙᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲬᲧᲔᲢᲐᲓ

ᲠᲘᲡ ᲖᲣᲢᲛᲐᲜᲘ, ᲥᲘᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲞᲔᲛᲢᲘᲢᲐᲛ,

ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲘᲯᲐᲠᲐᲓᲠᲗ

რომელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყვების სასახლეებისაგან.

ᲞᲐᲢᲘᲕᲘ მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲒᲐᲜ შედგენილია და მთელს ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.

1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენის დროს, ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი ვერცხლის მედალი მივიღე და აგრეთვე ᲕᲔᲜᲘᲡ გამოფენაზე 1873 წელს.

ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲝᲜᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲡ

ᲕᲘᲜᲪ ᲜᲐᲠᲓᲐᲗ ᲘᲧᲘᲓᲘᲡ, ᲣᲤᲠᲝ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲑᲔᲜ.

ᲠᲔᲪᲘᲡ-ᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ:

ᲬᲐᲛᲐᲚᲘ თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის—1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ლირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ლირს. ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲢᲘᲚᲘᲡ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ—1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ. ᲓᲐᲑᲔᲑᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ (მაზოლის) ᲬᲐᲛᲐᲚᲘ, ერთი ბანკა—60 კაპ.

ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲓᲔᲞᲝᲢᲐᲠᲘᲡ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲓᲔᲠᲠᲝᲚᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲐᲠᲬᲠᲣᲜᲘᲡ ქარვასლაში, ᲚᲐᲜᲙᲝᲡ ᲛᲣᲖᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ; ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲨᲘ, სეგალთან, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ. ᲚᲔᲑᲔᲓᲔᲕᲘᲡ სახლში; ᲡᲢᲐᲕᲠᲝᲞᲝᲚᲨᲘ—ᲙᲣᲠᲘᲚᲩᲔᲜᲙᲝᲡᲗᲐᲜ.

ᲐᲮᲕᲔ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ.

ᲐᲥᲕᲔ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲗᲛᲘᲡ ᲡᲐᲚᲔᲑᲐᲕᲘ. 54—1

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ .	9	36	4	54				
მცხეთა. . .	—	—	—	—	1	68	-	38
ᲒᲝᲠᲘ . .	12	21	8	41	2	40	1	23
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ . .	2	—	11	10	3	92	2	18
ᲑᲔᲭᲐᲗᲣᲑᲐᲜᲘ	—	—			4	42	2	46
ᲥᲕᲘᲠᲘᲚᲐ .	—	—			5	81	3	23
ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘ. .	8	23			6	75	3	75
ᲮᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ .	—	—			7	73	4	29
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ.	—	—			8	57	4	76
ᲤᲝᲗᲘ. . .	11	44			9	75	5	42
ᲤᲝᲗᲘ . .	8	40						
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ.	—	—			1	18	-	66
ᲮᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ.	—	—			2	6	1	14
ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘ .	11	51			3	4	1	69
ᲥᲕᲘᲠᲘᲚᲐ. .	—	—			3	98	2	21
ᲑᲔᲭᲐᲗᲣᲑᲐᲜᲘ	—	—	ᲦᲐᲛᲔ		5	33	2	96
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ . .	5	41	1	6	5	84	3	24
ᲒᲝᲠᲘ . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ .	10	16	7	24	9	75	5	42

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘ

ა) ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ:
ᲝᲓᲔᲡᲘᲡᲙᲔᲜ—ᲮᲣᲗᲨᲐᲑ. შუადღეზე
ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲡ—ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ დილას.

ბ) ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲓᲐᲛ:
ᲤᲝᲗᲘᲡ—ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, დილით.
ᲝᲓᲔᲡᲐᲡ—ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, შუადღეზე.

ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ:	I		II		III	
ᲡᲝᲮᲣᲛᲐᲛᲓᲘ .	4	„	3	„	1	„
ᲥᲔᲠᲩᲐᲛᲓᲘ. .	20	50	15	50	5	„
ᲢᲐᲒᲐᲜᲠᲝ�გ.	34	„	27	„	8	60
ᲝᲓᲔᲡᲡᲐᲛᲓᲘ.	38	„	30	„	9	60

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

	მ.	კაპ
ᲝᲪᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:		
ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲤᲝᲗᲡ . .	1	—
ᲒᲝᲠᲡ, ᲓᲣᲨᲔᲗᲡ, ᲡᲘᲦᲜᲐᲮᲡ		50
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲡ ᲝᲓᲔᲡᲐᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ	2	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠ�გᲡ, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲡ . .	2	—
ᲝᲡᲢᲔᲗᲡᲔᲗᲨᲘ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ.	3	50
ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲨᲘ.	3	75

ᲤᲝᲡᲢᲐ

ა) ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:
ᲡᲐᲛᲖᲦᲕᲐᲠ �გᲐᲠᲔᲗ, ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲡ—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ �გᲐᲠᲓᲐ. ᲖᲣᲒᲓ. ᲝᲗᲮᲨ., ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲡ — ᲞᲐᲠᲐᲡᲙ ᲓᲐ ᲝᲠᲨᲐᲑ. ᲑᲐᲥᲝᲡ — ᲝᲠᲨ. ᲡᲐᲛᲨᲐᲤ. ᲓᲐ ᲨᲐᲑ. ᲙᲐᲮᲔᲗᲡ — ᲡᲐᲛᲨ. ᲓᲐ ᲨᲐᲑ.

ᲑᲘ) ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ:
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲐᲡ �გᲐᲠᲓᲐ. ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲡ—ᲝᲠᲨ. ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙ. ᲖᲣᲒᲓᲔᲓᲐ—ᲝᲗᲮᲨᲐᲑ.

ᲒᲘ) ᲒᲝᲠᲘᲓᲐᲛ.
ᲣᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ.

ᲓᲘ) ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ:
ᲣᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ.

	კაპ
ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲒᲖᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲖᲦᲕᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗ:	
ᲚᲘᲐ ᲬᲘᲗᲘᲡ	4
ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ (ᲡᲐᲛᲘ ᲛᲘᲡᲮᲐᲚᲘ) .	8

ᲑᲘᲠᲭᲐ

	მან.	კაპ
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 12 ᲘᲐᲜᲕ.		
ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲚᲘᲠᲘᲡ:		
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ 32 ᲞᲔᲜᲡᲘ.	—	84
ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ 334 ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲘ.	—	89
ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ(ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡᲤᲐᲡᲘ)	6	—
ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ 5%	100	25
ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲘᲡᲔᲡᲮᲘ)	226	—
ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ (ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲮᲘ)	217	75
ᲑᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ:		
ᲗᲤᲘᲚ. ᲡᲐᲐᲖᲜ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ.	94	--
ᲮᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ (5½)	88	—
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ (5%). . . .	86	75
ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ:		
ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ	172	—
ᲤᲝᲗᲘ-ᲗᲤᲘᲚ.ᲠᲙᲘᲜ. ᲒᲖᲘᲡ	139	50
ᲨᲐᲕᲘᲖᲦᲕᲘᲡ ᲪᲔᲪᲮ. ᲒᲣᲛᲔᲑᲘᲡ	560	—
ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘᲡ. .	168	—
ᲞᲘᲠᲕ. ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖᲝ�გ.	665	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑ. ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖ.	263	—
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖ.	257	65

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

	მან	კაპ
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 15 ᲘᲐᲜᲕ.		
ᲞᲣᲠᲘ ᲨᲝᲠᲐᲒᲐᲚᲘᲡ ᲤᲣᲗ.	—	90
ᲫᲔᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ. . . .	—	55
ᲑᲐᲛᲑᲐ ᲛᲠᲔᲕᲔᲜᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ .	5	40
—ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ. .	6	30
ᲑᲐᲠᲔᲜᲢᲘᲚᲘ ᲑᲐᲛᲑᲐ ᲤᲣᲗ.	8	—
ᲛᲐᲢᲚᲣᲚᲘ ᲗᲣᲨᲣᲠᲘ ᲤᲣᲗ .	7	50
—ᲗᲘᲠᲐᲥᲛᲘᲡᲐ ᲤᲣᲗ. .	7	50
ᲐᲑᲠᲨᲣᲛᲘ ᲜᲣᲨᲣᲠᲘ ᲒᲠ.	2	60
ᲥᲜᲘ, ᲤᲣᲗᲘ. . .	4	—
ᲥᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ.	5	60
ᲡᲢᲔᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ, ᲤᲣ.	10	20
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲫᲠᲝᲮᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢ.	—	55
—ᲪᲮᲔᲠᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢᲠᲘ. .	—	65
ᲡᲞᲘᲠᲢᲘ, ᲕᲔᲓᲠᲝ. . .	6	60
ᲨᲐᲥᲐᲠᲘ, ᲑᲠᲝᲪ. ᲤᲣᲗᲘ .	7	80
—ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ . .	6	40
ᲣᲐᲕᲐ ᲒᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ .	19	25
ᲖᲔᲗᲘ ᲥᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ᲤᲣ.	6	—
ᲝᲭᲠᲝ ½ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘ. .	6	15

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Января 1876 г. Типографія Меликова и К°. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.